საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1093

16/07/2021

ქ. თბილისი

შპს „RMG Gold“-ის სალიცენზიო ტერიტორიიდან „წითელი ხიდი-წალკა-ალასტანის“ მაგისტრალური გაზსადენის ტრასის (73-75 კმ. მონაკვეთის) გადატანის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციაზე“ გადაცემის შესახებ

2021 წლის 24 მაისს სამინისტროს ერთობლივი განცხადებით მომართეს შპს „RMG Gold“-ისა და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ დირექტორმა. შპს „RMG Gold“-მა ითხოვა მასზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციაზე“ და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება.

2018 წლის 25 მაისს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-385 ბრძანება „შპს „RMG Gold“-ის სალიცენზიო ტერიტორიიდან „წითელი ხიდი-წალკა-ალასტანის“ მაგისტრალური გაზსადენის ტრასის (73-75 კმ. მონაკვეთის) გადატანის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“. აღნიშნულ ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შესწორების მიზნით, 2021 წლის 30 ივნისს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-993 ბრძანება „შპს „RMG Gold“-ის სალიცენზიო ტერიტორიიდან „წითელი ხიდი-წალკა-ალასტანის“ მაგისტრალური გაზსადენის ტრასის (73-75 კმ. მონაკვეთის) გადატანის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ” საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 25 მაისის №2-385 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „RMG Gold”-ის სალიცენზიო ტერიტორიიდან „წითელი ხიდი-წალკა-ალასტანის“ მაგისტრალური გაზსადენის ტრასის (73-75 კმ. მონაკვეთის) გადატანის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 25 მაისის №2-385 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“;
2. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 25 მაისის №2-385 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;
3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასა“ და შპს „RMG Gold“-ს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისა“ და შპს „RMG Gold“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე- 12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი